World Vision
Georgia

World Vision საქართველოს

ახალგაზრდული პროგრამირება

ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამირების ახალგაზრდული

ინოვაციური ფიზიკური ელექტრონული

ადმინისტრირების კულტურის დანერგვა ახალგაზრდებში

ჩვენ გვჯერა, რომ ძლიერ ახალგაზრდებს აქვთ უნარი იყვნენ ცვლილების განხორციელების ინიციატორები, რომლებსაც შეეძლებათ დადებითი გავლენა მოახდინონ თავიანთ თანატოლებზე და გახადონ ისინი უფრო აქტიური და მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონენი. World Vision საქართველო მუშაობს სხვადასხვა თემის ახალგაზრდებთან. ახალგაზრდების გაძლიერებით ჩვენ ხელს ვუწყობთ თემის განვითარებას.

ამჟამად World Vision საქართველოს ფარგლებში არსებობს 40 ახალგაზრდული კლუბი კახეთის, იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, რომლებშიც გაერთიანებულია 13-დან 17 წლამდე 1000-ზე მეტი ახალგაზრდა. World Vision საქართველომ პირველად 2010 წელს დაიწყო ახალგაზრდული კლუბების ჩამოყალიბება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართო 3000-მდე მოზარდი და ახალგაზრდა.

ჩვენ ვქმნით და ვავითარებთ ინკლუზიურ ახალგაზრდულ სერვისებს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე არაფორმალური განათლების პოპულარიზაციის გზით.

World Vision საქართველოს ახალგაზრდული კლუბების
საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში

მოზარდების სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა

ადვოკატირების კულტურის დანერგვა ახალგაზრდებში

ახალგაზრდული ინიციატივები საზაფხულო პროგრამა

World Vision საქართველოს საზაფხულო პროგრამის ფარგლებში 2014 წლის 1 ივლისს დაიწყო “მხიარული სტარტები 2014” პროექტი სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ახალგაზრდული საბჭოსა და სასკოლო კლუბების წევრების მიერ არის ინიცირებული და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას ემსახურება.

“ახალგაზრდული ინიციატივები საზაფხულო პროგრამის” ფარგლებში 1-3 აგვისტოს გაიმართა საზაფხულო ბანაკი სადაც მონაწილეობა მიიღო 60-მდე ახალგაზრდამ კახეთის, იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებიდან, იდეის ინიციატორები იყვნენ World Vision-ის ფარგლებში არსებული არაფორმალური განათლების ახალგაზრდული კლუბები. ბანაკის მიზანი იყო გარე აქტივობების საშუალებით არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში. მონაწილეებს ჩაუტარდათ ლიდერობის, გუნდური მუშაობის, პირველადი სამედიცინო დახმარების და სკაუტური ტექნიკის გამოყენების ტრენინგები.

არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში

ეფექტიანი სამოქალაქო ინიციატივები ცხოვრებისეული გაჭირვებიდან

ადგილობრივების პოზიტიური დანერგვა ახალგაზრდებში

World Vision
Georgia
MINISTRY

12
აგვისტო
INTERNATIONAL
YOUTH DAY
WWW.MSY.GOV.GE

თანამშრომლობის გაღრმავება ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობისათვის ადგილობრივ დონეზე

12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა World Vision საქართველოს ახალგაზრდული კლუბების ახალგაზრდებს კახეთიდან, იმერეთიდან და სამცხე-ჯავახეთიდან. მოეწყო ფოტო გამოფენა, სადაც სკოლის შემდგომი აქტივობები იყო ასახული. შეხვედრამ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს მისცა საშუალება მათი საჭიროებები, შესაძლებლობები თუ მიღწევები ცენტრალურ დონეზე გაეჟღერებინათ. ახალგაზრდებმა სამინისტროს წარმომადგენლებთან თავისუფალი დიალოგის რეჟიმში ისაუბრეს და საკუთარი პრობლემები თუ სურვილები დეტალურად გააცნეს, ხაზი გაუსვეს ბავშვებზე ორიენტირებული პროგრამების დაგეგმვის საჭიროებას.

ახალგაზრდული დღეების კვირეულის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდებსა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებს შორის. World Vision-ის მიერ დაარსებულმა ახალგაზრდული კლუბების ლიდერებმა ისაუბრეს სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებსა და პრობლემებზე. სამინისტროს წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს გააცნეს ის ახალგაზრდული ინიციატივები და პროგრამები, რომელსაც სამინისტრო ახორციელებს რეგიონებში. შეხვედრით საფუძველი ჩაეყარა სისტემურ თანამშრომლობას World Vision-სა და სამინისტროს შორის.

დებატები

6 მაისს კახეთის ახალგაზრდული კლუბების წევრმა ახალგაზრდებმა World Vision-ის ხელშეწყობით, ახალგაზრდობის სამინისტროში დებატები გამართეს თემაზე საქართველოს რეგიონებში არაფორმარული განათლება უნდა განვითარდეს.

სადებატო თემა ახალგაზრდებმა თავად აირჩიეს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი. არაფორმალური განათლების ადვოკატირებითა და მისი საჭიროების საჯარო განხილვით ახალგაზრდები იმედს იტოვებენ სოფლებში ადგილობრივი თუ ცენტრალური მთავრობის დახმარებით პრობლემა გადაიჭრება.

დებატები რეგიონების ახალგაზრდებთან World Vision-ისა და "საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის" ინიციატივაა, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემის გარშემო საჯარო დისკუსიის არსებობასა და პრობლემური საკითხების საზოგადოებრივ სივრცეში განხილვას ემსახურება და მიზნად ისახავს ახალგაზრდების ეფექტურ საჯარო ლიდერებად ჩამოყალიბებას, დებატების ტექნიკის შესწავლას და არგუმენტაციის უნარების დახვეწას.

არაფორმალური განათლების პოპულარიზაციის გზით ჩვენ ხელს ვუწყობთ ინკლუზიური ახალგაზრდული სერვისების განვითარებას ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე

თბილისის ახალგაზრდული საბჭო

ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი
“**ახალგაზრდები ADP-სთვის**”

ახალგაზრდები, რომლებმაც დატოვეს ახალგაზრდული სასკოლო კლუბები და ჩამოვიდნენ თბილისში ხდებიან “**ახალგაზრდები ADP-ისთვის**” წევრები. ჯგუფის მიზანია ხელი შეუწყონ თავიანთ თემებში არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ სასკოლო კლუბების განვითარებას.

სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდული საბჭო

18
არაფორმალური განათლების ახალგაზრდული კლუბი

კახეთის ახალგაზრდული საბჭო

17
არაფორმალური განათლების ახალგაზრდული კლუბი

იმერეთის ახალგაზრდული საბჭო

8
არაფორმალური განათლების ახალგაზრდული კლუბი

სასკოლო კლუბის ლიდერები არიან “**ახალგაზრდული საბჭოს**” წევრები, რომლებიც წარმოადგენენ ახალგაზრდულ ხმას რეგიონის დონეზე.

3
არაფორმალური განათლების ახალგაზრდული კლუბი **თბილისში**

არაფორმალური განათლების ახალგაზრდული კლუბები ფუნქციონირებს **43** სკოლაში და მასში გაერთიანებულია **1200**-ზე მეტი ახალგაზრდა